ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.27/10/002

ქ. თბილისი 13 იანვარი 2017 წელი

ერთის მხრივ, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის დიმიტრი ორმოცაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „იბერია ტექნოლოჯი"** წარმოდგენილიმისი **დირექტორის გიორგი ბაქაქურის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 20(ოცი) ცალი UPS-ის აკუმულატორის შეძენა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: CPV კოდი- 31400000 - აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 695.0(ექვსასოთხმოცდათხუთმეტი)ლარი, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, მ/შ:

CPV კოდი	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები/მოდელი/მწარმოებელი კომპანია,	წარმოშობის ქვეყანა,	განზ. ერთ-ი	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება (ლარი)
31430000	ელ. აკუმულატორი	LP12-7.0 LEOCH Rechargable Battery	ჩინეთი,	ცალი	20	34,75	695.00

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქონლის მიწოდების და მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისი.

3.2 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6(ექვსი) თვე.

3.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის შეკეთებას ან საჭიროების შემთხვევაში შეცვლას.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ:

გიორგი ნეფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის აპარატის უფროსის მ/შ,
დავით ვანეშვილი- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის აპარატის მთავარი სპეციალისტი,
კახა გოგატიშვილი - პროვაიდერების ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება.

6.2 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 2(ორი) სამუშაო დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეკეთება ან/და შეცვლა.

6.3 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.4 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2(ორი) პროცენტის ოდენობით.
9.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,4 % ოდენობით;
9.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5(ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა.

12.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
გლდანის რაიონის გამგეობა	**შპს „იბერია- ტექნოლოჯი“**
მის: ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის ქ. №1ბ	მის: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №23
ს/კოდი: 209466843	ს/კოდი: 204563873
სს „საქართველოს ბანკი", ცენტრალური ფილიალი	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE95LB0125152101627000	ა/ა № GE51BG0000000897702300
ტელ. +995 32 218 980	ტელ. 292 00 56; 577 570 570.
გამგებელი _____**დიმიტრი ორმოცაძე**	**დირექტორი** _____ **გიორგი ბაქაქური**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 13 იანვარი 2017 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის „13" იანვრის №10.27/10/002 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკუმულატორის(UPS-ისთვის) შეძენა (CPV კოდი-31400000-აკუმულატორები) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს „იბერია-ტექნოლოჯი") ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი:

დ.ორმოცაძე ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

გ.ნეფარიძე ----------

კ. გოგატიშვილი ----------

დ. ვანეშვილი ----------

ხელშეკრულება შეადგინა:

წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების მიმართულებით

თ. გელაშვილი ----------